

გეოინფორმატიკის თანამედროვე მიღწევების გამოყენება სტაციონარული კვლევების შედეგების დამუშავებაში

ნელი ჯამასპაშვილი, ნ.ნ. ბერუჩაშვილი, ლ.ნ. ბერუჩაშვილი

ელ-ფოსტა: neli.jamaspashvili@tsu.ge

თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
გეოგრაფიის დეპარტამენტი, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი #3, II კორპუსი

ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მიდგომისა და კვლევის მნიშვნელობა განუსაზღვრელად დიდია მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის. მეცნიერული თვალსაზრისით იგი არაერთი დისციპლინის კოორდინაციის წინაპირობაა, ხოლო პრაქტიკისათვის სამეურნეო ღონისძიებათა კომპლექსური ანალიზისა და დაგეგმარების საფუძველი. სწორედ ამიტომ, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური გამოკვლევები იკიდებს ფეხს იმ რეგიონული ან საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტების განხორციელებაში, რომლებიც უშუალო კავშირშია ბუნებრივი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევა რამდენიმე ეტაპად უნდა განხორციელდეს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია: ზოგადგეოგრაფიული, ლანდშაფტური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური ანალიზი და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური სინთეზი. ტერიტორიების ბადის შექმნისათვის შესაძლებელი გზების განსაზღვრისათვის ძალზე ეფექტურ ინსტიტუტს წარმოადგენს ტერიტორიის გის-ანალიზი. იგი თავისთავში მოიცავს არსებული მონაცემების ბანკის ანალიზს და გეოინფორმაციულ სისტემებს ტერიტორიის მნიშვნელოვანის თვალსაზრისის გამოვლენისათვის.

ზოგიერთი შედეგები რუკების სახით:

- თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესები და რისკები (ზვავები, სელები, ღვარცოფები, მეწყერები და სხვა
 - თანამედროვე ჰიდროლოგიური პროცესები და რისკები (წყალდიდობა, წყალმოვარდნა და სხვა
 - თანამედროვე კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა საქართველოს გარემო პირობებზე
 - საქართველოს მიწის კადასტრის დინამიკა და მისი გავლენა ბუნებრივ პირობებსა და რესურსებზე; ტექნოგენური კატასტროფები
- გეოგრაფიული მეთოდები: ტელედეტექცია, გის-ები, მულტივარიაციული ანალიზი და ლაბორატორიული ანალიზების ტექნიკა

საქართველოში გეოინფორმატიკის განვითარება იყოფა 3 ეტაპად და აქვს 25 წლიანი ისტორია. ბევრი პროექტი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია გეოინფორმატიკის კათედრაზე, ნ.ბერუჩაშვილის ხელმძღვანელობით. პროფ. ნ.ბერუჩაშვილი 1982 წლიდან ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიის და გეოინფორმატიკის კათედრას, 1979 წლიდან კი - აეროკოსმოსური მეთოდებით ბუნებრივი გარემოს შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას. პროფ. ნ.ბერუჩაშვილი ავტორია 150-მდე სამეცნიერო ნაშრომისა (აქედან 23 მონოგრაფია, წიგნი და კრებული). 1995, 1996, 1997, 1998 წლებში ნიკო ბერუჩაშვილი სოროსის ფონდის პროფესორია.

უკანასკნელ წლებში პროფ. ნ.ბერუჩაშვილი აქტიურად მუშაობს საქართველოს და კავკასიის გეოინფორმაციული სისტემების შექმნის საკითხში. 1995 წ. მსოფლიო ბანკის და გრიდ-არენდალის დახმარებით გამოვიდა მონოგრაფია კავკასია: ლანდშაფტები, მოდელები, ექსპერიმენტები, სადაც დეტალურად არის აღწერილი კავკასიის ლანდშაფტებზე შექმნილი

მონაცემთა ბანკი და გეოინფორმაციული სისტემა. 1996 წელს პარიზში გამოვიდა (პროფ. ჟ.რადვანის თანაავტორობით) კავკასიის გეოპოლიტიკური ინფორმაციული ატლასი. 1996 წელს დაისტამბა 'საქართველოს გეოგრაფია' (ნაწილი I, ნ.ელიზბარაშვილის თანაავტორობით) - სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის. ეს სახელმძღვანელო იყო გადათარგნული რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე და გამოცემული 1997-98 წწ. ქართული სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა განხორციელდა 1998 წ. შემოდგომაზე. 1998 წლის გაზაფხულში გამოიცა საქართველოს გეოგრაფიის მე-II ნაწილი. (თანაავტორები ნ.ელიზბარაშვილი, დ.დავითაშვილი) - სოციალურ-ეკონომიური გეოგრაფია, ამ დროს მზადდება გამოცაწემად საქართველოს გეოგრაფიის III ნაწილი, სადაც იქნება განხილული საქართველოს ცალკეული რეგიონები. ამ სახელმძღვანელოებში მოთავსებული საქართველოს 250 რუკა, რომელიც იყო შედგენილი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით და ეყრდობიან მძვლავრ მონაცემთა ბაზას.

1996 წელს საქართველოს პრეზიდენტის აპარატის დავალებით შეიქმნა საქართველოს გეოინფორმაციული სისტემა, რომლის პრეზენტაცია-ჩაბარება მოხდა საქართველოს მთავრობაში 1997 წ. 5 აპრილს. ამ ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე.

შეიქმნა აჭარის მონაცემთა ბანკი და გეოინფორმაციული სისტემა. ამ სისტემის საფუძველზე მომზადდა აჭარის ინფორმაციული ატლასი. ინფორმაცია ამ ატლასის შესახებ მოთავსებულია ერთობლივ ფრანგულ-ქართულ "ჰოუმ-პაჯზე", რომლის ორგანიზატორია პროფესორები ჟ.-ფ. რიშარი და ჟ.ფილერონი (საფრანგეთი) და პროფ. ნ.ბერუჩასვილი (საქართველო).

1996 წელს ნ.ბერუჩასვილმა მიიღო "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს ფონდის გრანტი ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებით - რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონალური მონაცემთა ბანკის და გეოინფორმაციული სისტემის შექმნა. ამ გრანტის საფუძველზე შეიქმნა კომპიუტერული ატლასი, რომელიც დიდი ინტერესი გამოიწვია ფართო საზოგადოებაში და ბევრი სხვა გეოინფორმაციული სისტემა.

საკვანძო სიტყვები: ლანდშაფტური, ეკოლოგიური, გამოკვლევები, გეოინფორმატიკა